

ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა  
სამინისტროს

2016 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული  
ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

- 2015 წლის 9 დეკემბრიდან 2016 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 90 განაცხადი. აქედან:
  - დაკმაყოფილდა - 86;
  - განხილვის პროცესშია - 4;
  - სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.
- სამინისტრომ შეაგროვა და დაამუშავა საჯარო მონაცემთა ბაზის შემდეგი სახეები:
  - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მონაცემთა ბაზას დაემატა 7 201 პირის მონაცემი;
  - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღრიცხვის მონაცემებს დაემატა 1 დეკლარაცია, ხოლო უკვე შევსებული დეკლარაციებიდან 8-ს ჩაემატა დამატებითი მონაცემები;
  - ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 47 და ჰუმანიტარული სტატუსი - 202 პირს.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ მონაცემები გადაეცა:
  - საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ხუთჯერ);
  - სოციალური მომსახურების სააგენტოს (ეგზავნება ყოველთვიურად, დევნილთა მიერ შემწეობის მისაღებად).

სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგუცა გურული.